„პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს“ სხდომა N2

6 ივლისი, 2017 წელი

შეხვედრის დასახელება	„პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს“ სხდომა
შეხვედრის თარიღი:	6 ივლისი, 2017 წელი
შეხვედრის ადგილი:	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
შეხვედრის მონაწილეები:	
სახელი, გვარი	თანამდებობა
საბჭოს წევრები	
საქართველოს მთავრობის მხარე	
ალექსანდრე ჯეჯელავა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი
ნინო ჯავახაძე	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე
რევაზ ჯაველიძე	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე
დამსაქმებელთა ასოციაციების/გაერთიანებების მხარე	
ელგუჯა მელაძე	საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი
მაია ჩიხლაძე	საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის გამგეობის წევრი, ქალ მეწარმეთა ასოციაციის წევრი, კერძო კოლეჯების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი
დანიელ გახარია	ა(ა)იპ საქართველოს ქალ დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი
ლევან სილაგავა	ა(ა)იპ საქართველოს მწარმოებელთა ფედერაციის პრეზიდენტი
დასაქმებულთა პროფესიული კავშირების მხარე	
ირაკლი პეტრიაშვილი	საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე
ილია ვერძაძე	საქართველოს პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომარე
ამირან ზენაიშვილი	საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირების თავმჯდომარე
სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მხარე	
ირინე ინასარიძე	ასოციაცია „ანიკა“- ს დირექტორი
სერგო თურმანიძე	ა(ა)იპ ასოციაციების მართვის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი
ალექსანდრე ეჯიბაძე	პროფესიული განათლების ფონდის გამგეობის თავმჯდომარე

<u>საბჭოს სხვა მონაწილეები</u>	
დავით ივანაძე	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურის დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი
ნიკოლოზ მესხიშვილი	საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, პროფესიული განათლების ექსპერტი
გიორგი ჭანტურია	კომუნიკაციის ოფიცერი, კოალიცია განათლება ყველასათვის - საქართველო (EFA)
სერგო ნოზაძე	საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის პრეზიდენტი
ნათია სულავა	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელი
საბჭოს სხდომის მდივანი	
ანა ჩხიკვაძე	პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შეხვედრის დღის წესრიგი

დრო	შინაარსი	მომხსენებელი
14:00-14:10	სხდომის გახსნა, დღის წესრიგის გაცნობა	**ალექსანდრე ჯეჯელავა** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, „პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს“ თავჯდომარე
14:10-14:25	II კვარტლის შემაჯამებელი ანგარიში • შრომითი უნარების განვითარება სკოლის მოსწავლეებში; • გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა, ახალი ლოკაციები;	**ირინა წეროძე** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი
14:25-14:45	თემის განხილვა	
14:45-15:00	პროფესიული განათლების ბრენდინგი	**ირინა წეროძე** **ალექსი ჩიქოვანი** ბრენდინგის ექსპერტი
15:00-15:10	თემის განხილვა	
15:10-15:25	სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი. ანგარიშის წარდგენა	**ნიკოლოზ მესხიშვილი** პროფესიული განათლების ექსპერტი საქართველოს ფერმერთა ასოციაცია
15:25-15:40	სხვა საკითხები	
	საბჭოს წევრთა მიერ საკითხების შეჯამება და რეკომენდაციები	

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ბატონი ალექსანდრე ჯეჯელავა მიესალმა პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს (შემდგომში საბჭო) სხდომის წევრებს, მადლობა გადაუხადა მონაწილეობისათვის და მოკლედ, შესავლის სახით მიმოიხილა პროფესიული განათლების სიტემში მიმდინარე და დაგეგმილი პროცესები. ბ-მა ალექსანდრემ აღნიშნა, რომ სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორებთან პროფესიული განათლების დაფინანსების სქემის გაფართოების კუთხით ბ-მა მინისტრმა აღნიშნა, რომ პროფესიული განათლების თითქმის ყველა

ადგილობრივი თუ საერთაშორისო მხარდამჭერი ორგანიზაცია გამოთქვამს სფეროში კიდევ უფრო მეტი რესურსის დახარჯვისა და განვითარების პროცესში ჩართვის სურვილს.

ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან კომუნიკაციისას, ისინი ერთხმად გამოხატავენ ინიციატივებს და გამოთქვამენ სურვილს, მათივე ხელშეწყობით ცალკეულ მუნიციპალიტეტებში დაფუძნდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები და გაფართოვდეს ქსელი.

ბ-მა ალექსანდრემ განმარტა, რომ მიუხედავად პროფესიული განათლების განვითარების სფეროში არსებული პროგრესისა, ჯერ კიდევ არ არის პროფესიულ განათლებაზე საკმარისი მოთხოვნა. სასურველია შეიცვალოს უმაღლესსა და პროფესიულ განათლებას შორის არსებული თანაფარდობა და რაც შეიძლება ბევრ ადამიანს გაუჩნდეს პროფესიული განათლების მიღების სურვილი.

ბ-ნმა, ალექსანდრემ, მოწვეულ სტუმრებს გააცნო დღის წესრიგი და სიტყვა გადასცა შეხვედრის მომხსენებელს, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსს, ქ-ნ ირინა წეროძეს. ქ-ნი, ირინა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის და წარადგინა 2017 წლის, მეორე კვარტლის შემაჯამებელი ანგარიში. ქ-მა ირინას განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტრო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად გეგმავს ერთობლივი პროექტის ,,სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის'' განხორციელებას, რომელში ჩართვის შესაძლებლობაც ექნებათ როგორც არაფორმალური, ისე ფორმალური განათლების მომწოდებლებს, პროფესიული განათლების მიმართულებით მომუშავე კერძო და სახელმწიფო სასწავლებლებს. ქ-ნი ირინას განმარტებით, მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამები, რომელთა ხანგრძლივობა იქნება რამდენიმე თვე, სამუშაოს მაძიებელთათვის გაზრდის სამუშაოს პოვნის შესაძლებლობებს, ხოლო დასაქმებულებში უნარების განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობებს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაზრდას.

პრეზენტაციაში წარმოდგენილ ერთ-ერთ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობდა მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების განხორციელებისას როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების მომწოდებლების, პროფესიული განათლების კერძო და საჯარო პროვაიდერების ჩართვის შესაძლებლობას, ბ-ნმა ელგუჯა მელაძემ დადებითად შეაფასა სამინისტროს ინიციატივა და აღნიშნა, რომ მისასალმებელია კვალიფიკაციის ამაღლების ის შესაძლებლობები, რომელსაც სახელმწიფო აძლევს არა მხოლოდ სამუშაოს მაძიებლებს, არამედ უკვე დასაქმებულებსაც. ასევე, დამატებით გამოთქვა მოსაზრება, რომ მნიშვნელოვანია შემუშავდეს განხორციელების პროცესის ხარისხის კონტროლის მექანიზმები.

ქ-ნმა ირინამ, ასევე, ისაუბრა განათლების სამინისტროს მიერ დაგეგმილი, მეორე პროექტის შესახებ, რომლის განხორციელებაც იგეგმება სექტემბრის თვიდან. აღნიშნული პროექტი შეეხება მოსწავლეებში

შრომითი უნარების განვითარებისათვის მოკლევადიანი სასკოლო პროფესიული საორიენტაციო კურსების განხორციელებას, რომელში ჩართვის შესაძლებლობაც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორობით ექნება ყველა საჯარო და კერძო სკოლას. აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს სკოლის მოსწავლეებში პროფესიული პროგრამების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდასა და პროფესიული განათლების პოპულარიზაციას.

ქ-ნი ირინამ აღნიშნა, რომ პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, პროფესიული განათლების მიღება შესაძლებელია დამატებით ოთხ მუნიციპალიტეტში - სტეფანწმიდას, თიანეთს, ხობსა და ლაგოდეხში, სადაც აშენდა და აღიჭურვა ახალი სასწავლო კორპუსები. ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, კომპანიას „m2 უძრავ ქონება“ და მის შვილობილ კომპანიას BK Construction შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმატში, დაფუძნდება სამშენებლო პროფილის ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება. ამჟამად იწყება რეაბილიტაციის პროცესი და მომავალი წლის გაზაფხულზე სტუდენტები ჩაირიცხებიან სამშენებლო მიმართულების დუალურ პროგრამებზე. წლის ბოლომდე იგეგმება ასევე, ახალი პროფესიული სასწავლებლის მშენებლობის დაწყება კასპის მუნიციპალიტეტში, სადაც განხორციელდება დუალური პროგრამები სამშენებლო და სოფლის მეურნეობის მიმართულებით.

ქ-ნი ირინას განმარტებით, წელს პირველად, სამუშაოზე დაფუძნებული (დუალური) სწავლების მიდგომით, სოფლის მეურნეობის მიმართულების პროგრამებთან ერთად განხორციელდება ტურიზმის მიმართულების, ოთხი ახალი საგანმანათლებლო პროგრამა (მზარეული, სარესტორნო საქმე და სასტუმრო მომსახურება), რომლებსაც პარტნიორ დამსაქმებლებთან ერთად, წელს პირველად, განახორციელებენ თბილისის, ქობულეთისა და ბათუმის კოლეჯები. სწავლების პროცესში ჩაერთვება 35 -მდე კერძო კომპანია, მათ შორის ისეთი ცნობილი კომპანიები, როგორებიცაა: შპს „წისქვილი ჯგუფი“ სასტუმრო „Hilton Batumi" - „ჰილტონ ბათუმი", სს „კოკა კოლა ბოთლერს ჯორჯია“-ს, სასტუმრო „Georgia Palace Hotel” , სასტუმრო გამაჯანსაღებელი კომპლექსი „კასტელო მარე“, სასტუმრო „Leogrand Hotel&Casino Batumi" სასტუმრო „ინტურისტი" და სხვა.

პრეზენტაციაში წარმოდგენილ ერთ-ერთ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობდა პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, ბ-ნმა ელგუჯა მელაძემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხარდაჭერა გავრცელდეს ასევე კერძო კოლეჯებზეც, რათა მოხდეს რეგიონებში მათი განვითარება და/ან დაფუძნების ხელშეწყობა.

გამოთქმულ მოსაზრებასთან დაკავშირებით, ბ-ნმა ირაკლი პეტრიაშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ ხელშეწყობისა და დაფინანსებისა მხრივ აუცილებელია კერძო და საჯარო კოლეჯების თანაბარ პირობებში ჩაყენება, რათა შეიქმნას ჯანსაღი კონკურენტული გარემო.

ბ-ნმა ირაკლი პეტრიაშვილმა, შენიშვნის სახით აღნიშნა, რომ მისთვის მიუღებელია პროფესიულ განათლებასთან და პროფესიული პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების

განხილვა და გადაწყვეტილების მიღება ხორციელდებოდეს უმაღლესი განათლების საბჭოს ფარგლებში. გამოხატა პოზიცია იმის თაობაზე, რომ არ ემხრობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სივრცეში პროფესიული პროგრამების განხორციელებას და დასძინა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა განვითარდნენ დამოუკიდებლად.

გამოთქმულ მოსაზრებას დაეთანხმა ბ-ნი ელგუჯა მელაძე და დამატებით აღნიშნა, რომ მისთვის, როგორც ეროვნული პროფესიული საბჭოს წევრისთვის, მნიშვნელოვანია პროფესიული განათლებასთან დაკავშირებული საკითხები სოციალურ პარტნიორებთან დიალოგის საფუძველზე გადაწყდეს სწორედ, პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს ფარგლებში.

მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამებთან დაკავშირებით, ქ-ნმა ირინა ინასარიძემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია საკონკურსო წინადადებებში განისაზღვროს დამხმარე სპეციალისტის არსებობა, რათა შეზღუდულის შესაძლებლობის მქონე პირთათვისაც იყოს შესაძლებელი აღნიშნული პროგრამით სარგებლობა.

ქალბატონმა ირინამ, დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან „პროფესიული განათლების ბრენდინგი" დაკავშირებით განმარტა, რომ ევროკავშირის დახმარებით, დაგეგმილია პროფესიული განათლების ახალი ბრენდის შექნა, რათა გაიზარდოს პროფესიული განათლების შესახებ ცნობიერება, მისი მიმზიდველობა და სიტყვა გადასცა შეხვედრის მომხსენებელს ბ-ონ ალექსი ჩიქოვანს.

ბ-ნი ალექსი მიესალმა საბჭოს წევრებს და მოკლედ გააცნო პროფესიული განათლების ბრენდინგის ეტაპები, რომელიც სიტუაციური ანალიზის საფუძველზე გულისხმობს ბრენდის პლატფორმისა და საკომუნიკაციო სტრატეგიის შექმნას, რომელიც შემდგომში მიზანმიმართულად, თანმიმდევრულად და აქტიურად უნდა აღსრულდეს. ბ-ნმა ალექსიმ განმარტა, რომ ბრენდინგის პროცესში, შემუშავდება ის ძირითადი მესიჯები, რომლითაც უნდა დამყარდეს კომუნიკაცია საზოგადოებასთან, შეიქმნება პროფესიული განათლების, როგორც ბრენდის მახასიათებლები-ლოგო, ვიზუალური მხარე, განისაზღვრება რა მოლოდინები შეიძლება გამოიწვიოს ბრენდის დაპირებამ საზოგადოებაში და მიზნობრივ ჯგუფებზე სწორი მესიჯებით განისაზღვრება როგორ გაიზარდოს პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რაოდენობა და ამაღლდეს იმიჯი.

პროფესიული განათლების ბრენდინგთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა ერთხმად აღნიშნეს პროექტის განხორციელების აუცილებლობა და მოიწონეს სამინისტროს ინიციატივა.

ქ-მა ირინამ, საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხი „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის ანგარიში" და სიტყვა გადასცა შეხვედრის მომხსენებელს, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენელს, ბ-ონ ნიკოლოზ მესხიშვილს.

ბ-ნი ნიკოლოზი მიესალმა საბჭოს წევრებს და წარმოადგინა პრეზენტაცია სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროცესის მონიტორინგის შესახებ. ბ-მა ნიკოლოზმა შეხვედრის მონაწილეებს განუმარტა,

რომ 2015 წელს სამუშაოზე დაფუძნებული-დუალურ სწავლებასთან დაკავშირებით გაკეთდა სიტუაციური ანალიზი, საქართველოს მასშტაბით გამოიკითხა კერძო სექტორის წარმომადგენლები, რომლის საფუძველზეც კერძო სექტორის მხრიდან დაფიქსირდა მზაობა, ჩართულიყო და მიეღო მონაწილეობა დუალური სწავლების პროცესში.

ბ-მა ნიკოლოზმა, აღნიშნა, რომ 2015 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, გაეროს განვითარების ფონდისა (UNDP) და შვეიცარიის საერთაშორისო განვითარების ფონდის მხარდაჭერით შეიმუშავა სამუშაოზე დაფუძნებული-დუალური სწავლების კონცეფცია და სამოქმედო გეგმა. 2016 წელს დაიწყო პროექტის პილოტირება, რომლის ფარგლებშიც იდენტიფიცირდა კერძო სექტორის წარმომადგენლები და შემუშავდა პროგრამები მეხილეობის და მეცხოველეობის მიმართულებით. პილოტირების პროცესში ჩაერთო ოთხ რეგიონში (სამეგრელო, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი და ქვემო ქართლი) არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები.

ბ-მა ნიკოლოზმა, ასევე, აღნიშნა, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით, შემუშავდა გარკვეული საგანმანათლებლო ფორმები, რომლებიც უნდა ინტეგრირდეს ელექტრონულ პლატფორმაში, რომლის გამოყენებითაც სტუდენტებს ექნებათ საშუალება ელექტრონულად იხილონ საკუთარი შედეგები და რეიტინგი. მისივე თქმით, შემუშავდა მონიტორინგის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების, კერძო სექტორის წარმომადგნელების, ინსტრუქტორების, მასწავლებლების გამოკითხვას.

სტუდენტების შერჩევის პროცესთან დაკავშირებით ბ-მა ნიკოლოზმა განმარტა, რომ კერძო სექტორი თავად აკეთებს საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირებულ აპლიკანტთა შერჩევას. პილოტირების პროცესში, ოთხივე რეგიონში დაფიქსირდა 86 აპლიკანტი, გასაუბრების შედეგად, კი შეირჩა 40 სტუდენტი.

ბ-ნმა ნიკოლოზმა განმარტა, რომ ამ ეტაპზე სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 120 ლარიანი ანაზღაურება, რაც გულისხმობს კვებისა და გაუთვალისწინებელი ხარჯების უზრუნველყოფას. ასევე, ყველა სტუდენტი უზრუნველყოფილია დაზღვევით და სატრანსპორტო საშუალებით კოლეჯიდან საცხოვრებლამდე.

ბ-მა ნიკოლოზმა რეკომენდაციის სახით აღნიშნა, რომ სასურველია დარეგისტრირებამდე მოხდეს აპლიკანტთა მეტი ინფორმირება საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის და პარტნიორ კომპანიაში სწავლის პარალელურად შესასრულებელი სამუშაოების შესახებ. ასევე, საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია შემუშავდეს კოორდინაციის უფრო ეფექტური მექანიზმები, რათა თეორიული და პრაქტიკული კომპონენტი მჭიდროდ იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული, კერძოდ სტუდენტს თეორიულის სწავლების პარალელურად შეეძლოს ცოდნის პრაქტიკაში მოსინჯვის და გამოყენების შესაძლებლობა.

ბ-ნმა ნიკოლოზმა, პრეზენტაციის შეჯამებისას აღნიშნა, რომ აუცილებელია მასწავლებლებსა და ინსტრუქტორებს შორის არსებულის კომუნიკაციის გამყარება და კერძო სექტორთან თანამშრომლობის გაღრმავება.

ქ-ნმა ირინა წეროძემ, დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხთან „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის ანგარიში“ დაკავშირებით საბჭოს წევრებს შესთავაზა წარმოდგენილი პრეზენტაციის გაზიარება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სხდომის მონაწილეებს კითხვები და შენიშვნები არ ჰქონიათ, თუმცა გამოთქვეს სურვილი და დაინტერესება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროცესთან დაკავშირებული მეტი ინფორმაციის მიღების.

შეხვედრა შეაჯამა ბ-ნმა, ალექსანდრე ჯეჯელავამ.

„პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს“ სხდომის თავჯდომარე

ალექსანდრე ჯეჯელავა

„პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს“ სხდომის მდივანი

ანა ჩხიკვაძე